
იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, ISBN 978-99940-63-60-4

საკონსტიტუციო კონტროლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერ ქვეყანაში, მისი სამართლებრივი განვითარებისა და კანონმდებლობის დახვეწის თვალსაზრისით. საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლომ 10-წლიანი საქმიანობის გამოცდილება დააგროვა და, შესაბამისად, ამ პრაქტიკის ანალიზი კერძო სამართლის ჭრილში ბესარიონ ზოიძის ახალი წიგნის – „საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“ – მთავარი იდეაა. ავტორის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კერძო სამართლის ინსტიტუტების განვითარებაზე. წიგნი მიზნად ისახავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხების მკითხველისათვის გაცნობას.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება საკონსტიტუციო კონტროლის როლს კერძო სამართლის განვითარებაში. ავტორი მიმოიხილავს კერძო სამართლის საკითხებზე არსებულ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, მათ შორის: ავტომობილის სავალდებულო დაზღვევის მაგალითზე საუბარია კონტრაპირების იძულების სამართლებრივ მნიშვნელობასა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომაზე აღნიშნული საკითხისადმი; ამავე თავში განხილულია ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების აქტუალური პრობლემატიკა, ცალკე პარაგრაფი ეთმობა ქართველი და უცხოელი ინვესტორებისათვის თანაბარი საინვესტიციო პირობებისა და ერთიანი სამართლებრივი წესრიგის შექმნის აუცილებლობას.

ნაშრომის ამავე ნაწილში ავტორი ევროპულ ტენდენციებთან მიმართებით განიხილავს ნების გამოვლენის ნამდვილობას ხელშეკრულების სავალდებულო ფორმის ნაკლის შემთხვევაში და მიდის დასკვნამდე, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობისათვის პრიორიტეტულია ნამდვილი ნების გამოვლენა, ფორმის დაცვის საკითხი კი მხოლოდ ფორმალობაა და მტკიცებითი დანიშნულების მატარებელია.

ავტორი ცალკე პრობლემად აყენებს ზნეობისა და სამართლის ურთიერთმიმართების საკითხს, რასაც განიხილავს ნაჩუქარის უკან გამოთხოვის შესახებ სსკ-ის 529-ე მუხლის მაგალითზე. ნაშრომში მოყვანილია საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ დაასაბუთა გამჩუქებლის მიერ ნაჩუქარის გამოთხოვის მართებულობა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში.

ავტორი კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამიჯვნის პრობლემატიკას განიხილავს როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებათა მაგალითზე და საუბრობს იმ ფუნქციურ თავისებურებებზე, რაც განასხვავებს ამ ორ ინსტიტუტს ერთმანეთისაგან. იგი ასევე ეხება მენარმის ცნების განმარტების საკითხს.

მეორე თავი დათმობილი აქვს სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების საკითხებს. ავტორის აზრით, სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ფასეულობებით, თავის მხრივ, სამართალი უნდა იზიარებდეს სხვა ფასეულობებს (ჩვეულება, ტრადიციები) იმდენად, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს

საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების განვითარებას. სახელმწიფომ უნდა შეძლოს სამართლებრივი სისტემის ჰარმონიზაცია და უზრუნველყოს მისი სტაბილურობა, ურთიერთხელშეწყობი უნდა იყოს საჯარო და კერძო სამართლის განვითარება.

ავტორის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაბალანსებასა და აბსოლუტური ღირებულებების დამკვიდრებაში. ხელისუფლების თითოეული შტო საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა მოქმედებდეს სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, დაუშვებელია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ თავისი პასუხისმგებლობის გადაკისრება საკონსტიტუციო სასამართლოზე.

ავტორი ამავე თავში განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის არსებული ურთიერთობის პრობლემურ საკითხებს, კერძოდ ესენია: სასამართლო ხელისუფლების მიერ კანონმდებლობაში აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება საკანონმდებლო დონეზე; ზოგადი თუ კერძო ნორმების მიღების მართებულობის საკითხი; კანონთა ამოქმედების დროის ხშირი გადავადების საკითხი; „სიმბოლური სამართლის“ პრობლემა. აქვე ავტორი განიხილავს „აბსტრაქტული“ და „კონკრეტული“ კონსტიტუციური კონტროლის არსს. იგი ასევე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ნორმატიული აქტის გაგების, კანონის უკუძალისა და ფიქტიურ სამართლებრივ ცნებათა ჩამოყალიბების პრობლემატიკა.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ: მოცემულია სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამოტივაციო ნაწილის მნიშვნელობის შედარებითი ანალიზი გერმანულსა და ქართულ სამართალში: დასმულია სარეზოლუციო ნაწილების გაუმართაობის პრობლემა; ასევე, განხილულია სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელობის გამართლებულობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემის აუცილებლობის საკითხი. ავტორის აზრით, მოსამართლის განსხვავებული აზრის უფლება უფრო ფართო მნიშვნელობის მქონეა და მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში განსხვავებული აზრის დაფიქსირებით არ შემოიფარგლება.

ავტორს გაკრიტიკებული აქვს მოსამართლეების მიერ სხდომათა დარბაზში ეტიკეტის დარღვევის შემთხვევები.

ნაშრომის მეოთხე თავი ეთმობა საკუთრების უფლების საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. პირველ რიგში, ავტორი მიმოიხილავს საკუთრების უფლების საფუძვლებს საქართველოში, ხოლო შემდეგ ეხება ამ უფლების საკანონმდებლო დონეზე აღიარებისა და დაცვის გარანტიებს, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

ამავე თავშია განხილული თავად საკუთრების უფლების არსი, როგორც კერძოსამართლებრივი, ისე კონსტიტუციური წრილში. ავტორი საუბრობს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების გარანტირების ვალდებულების ფარგლებზე. საკუთრების უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნულის სამართლებრივი კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივ წრილში, რისი პრაქტიკაც, ავტორის აზრით, ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია. ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების უფლების გამიჯვნასა და დაცვასთან მიმართებით. ავტორი ასევე ეხება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლების შინაარსს. მისი აზრით, ამ მუხლის მიხედვით, დაცვის ქვეშ უნდა მოექცეს როგორც ის უფლებები, რომლებიც საკუთრების არსებობას გამოხატავენ (სახელშეკრულები), ისე საკუთრებიდან აღმოცენებული სანივთო უფლებები.

ასევე ამ თავშია განხილული ქონების კონფისკაციის კონსტიტუციურობის საკითხი 21-ე მუხლთან მიმართებით. აქვეა განხილული საკუთრების უფლების მიმართ პირთა თანასწორობის საკითხი და დაგმობილია სახელმწიფო ქონებისადმი პრივილეგირებული საკანონმდებლო მიდგომის არსებობა.

ავტორი ნაშრომში იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ სარჩელს, რომლის თანახმადაც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი (სამკვიდროს გახსნა კომლში). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილების არარსებობის გამო ამ უკანასკნელის კანონსაწინააღმდეგობა ავტორს განხილული აქვს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების მაგალითზე. ავტორი ასევე ეხება პრივატიზაციის საკითხს, როგორც საკუთრების უფლების შექმნის საფუძველს.

ნაშრომს დართული აქვს თემატიკასთან დაკავშირებული სტატიები, რომლებიც ავტორს სხვადასხვა პერიოდში სამეცნიერო ჟურნალებისა და კონფერენციებისათვის დაუმუშავებია.

ამგვარად, ბესარიონ ზოიძის წიგნის სახით მკითხველმა კერძო სამართლის მიმართულებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებული საინტერესო ნაშრომი შეიძინა. ავტორი ცალკეულ საკითხებს განიხილავს გერმანიისა და ევროპის სასამართლო პრაქტიკასთან შედარებითსამართლებრივ ჭრილში. მასში მოცემულია სასამართლო პრაქტიკის მიერ წამოჭრილი კერძო სამართლის საკვანძო საკითხების მეცნიერული ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში კერძო სამართლის ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას.

სოფიო კიკოშვილი
გრიგოლ ბერაძე